



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული  
თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი  
(აკადემიური უმაღლესი განათლება)

გორი  
2018 წელი

## **მუხლი 1. წესის სამართლებრივი საფუძველი და რეგულირების სფერო**

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების და აკადემიის წესდების საფუძველზე;

2. წესი არეგულირებს აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან, იუნკერის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, განათლების აღიარებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს;

3. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესში, ან აკადემიის სხვა რეგულაციებში, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4. აკადემიაში სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებენ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (სამეთაურო-სამტაბო კოლეჯი, ბაკალავრიატი), საგანმანათლებლო ერთეული (ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლების მიმართულება) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სასწავლო სამსახური;

5. სწავლება და იუნკერთა მიღწევების შეფასება ხორციელდება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული და აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების და მათში შემავალი სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) მკაცრი დაცვით, ხოლო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავისუფალ კომპონენტში ინტეგრირებული „საერთო საჯარისო მართვის“ სასწავლო კურსები ასევე განიხილება საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლების და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის მიერ;

6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო სამსახურთან ერთად ვალდებულია აწარმოოს სასწავლო პროცესისა და იუნკერთა მიღწევების შეფასების პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

## **მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების სახეები**

1. აკადემია ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების I და II საფეხურის (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამებს და აქვს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი;

2. აკადემია ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, ოსური და აფხაზურენოვანი იუნკერებისათვის.

3. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ანუ იუნკერის მიერ ათვისებულად (მიღწეულად) ითვლება, თუ იუნკერი დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მინიმალურ რაოდენობას;

4. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დონეზე ფასდება იუნკერის სწავლების შედეგები. დაგროვილი კრედიტების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაცია (ხარისხი), რაც დასტურდება აკადემიის მიერ გაცემული დოკუმენტით – დიპლომით

დანართთან ერთად, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას მფლობელის მიერ განხორციელებული სწავლის ხარისხის დონის, შინაარსისა და სტატუსის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი დანართით და იუნკერს ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;

5. სწავლების პროცესის საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მართვა ხორციელდება დაგროვილი კრედიტებისა და შეფასების სისტემით;

6. აკადემიაში დანერგილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა ECTS;

7. იუნკერის წლიური დატვირთვა შეადგენს მინიმუმ 60 კრედიტს, ანუ 1500 საათს, საიდანაც 1 კრედიტი უდრის 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ სამუშაო დროს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და იუნკერის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია იუნკერის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. კრედიტი გამოხატავს იუნკერისთვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ; აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.

8. აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება ბოლონიის პროცესისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და მოიცავს მინიმუმ 240 ECTS კრედიტს ბაკალავრიატის საფეხურზე, მინიმუმ 120 ECTS კრედიტს სამაგისტრო სწავლების საფეხურზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60 კრედიტიანი.

9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სწავლის ხანგრძლივობა აკადემიაში ბაკალავრიატის საფეხურზე ძირითადად შეადგენს 4 წელს, მაგისტრატურის საფეხურზე - 2 წელს, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 1 წელს.

### **მუხლი 3. ბაკალავრიატის / მაგისტრატურის იუნკერის სტატუსის მოპოვება და პირადი საქმის დაკომპლექტება**

1. აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარების შედეგები და აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და ფსიქოლოგიური შერჩევა/ გასაუბრება)

<sup>1</sup> აკადემიის შიდა წესი-დანართი1

3. სსიპ-გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის (შემდგომში-ლიცეუმი) კურსდამთავრებულთათვის, შესარჩევი ტურის ნაწილში, დადგენილია განსხვავებული პირობები, კერძოდ:

ა) ლიცეუმის კურსდამთავრებული ფიზიკურ ნორმატივებს არ აბარებს;

ბ) გასაუბრება ჩატარდება სსიპ-კადეტთა სამხედრო ლიცეუმისა და აკადემიის ერთობლივი კომისიის მიერ, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ტერიტორიაზე;

4. აბიტურიენტს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან<sup>2</sup> საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT).

6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აბიტურიენტებს აკადემიაში ჩარიცხვამდე მიეწოდებათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიაში არსებული სასწავლო პროცესისა და მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ. ამ მიზნით აკადემიის მიერ ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს მასშტაბით, ასევე აკადემიაში ღია კარის დღე.

7. ბაკალავრიატის იუნკერი სტატუსის მოპოვების შემდეგ დაექვემდებარება აკადემიაში დამტკიცებულ „იუნკერის ქცევის წესს“, „აკადემიის ეთიკის კოდექსს“ და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს.

8. მაგისტრატურის იუნკერის სტატუსის მოპოვების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატი სტუდენტების ჩარიცხვას; მაგისტრანტობის კანდიდატი აგრეთვე აბარებს შიდა გამოცდებს აკადემიაში. მიღების წინაპირობები დაკონკრეტებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

9. ბაკალავრიატის იუნკერთა საგრანტო კონკურსში გრანტის მოსაპოვებლად/გასაუმჯობესებლად მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“;

10. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ მოცულობებსა და ოდენობებს ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

11. აკადემია აცხადებს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ თითოეული საგამოცდო საგნისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს და ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე გავლილი აბიტურიენტები აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ აკადემიისთვის განსაზღვრული იუნკერების რაოდენობის ფარგლებში ამ წესის შესაბამისად;

---

<sup>2</sup> საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიზანია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ახლად ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის სამხედრო პიროვნებად გარდაქმნა, მისი ფიზიკური ამტანობის, სტრესულ სიტუაციაში ემოციური მდგრადობისა და ბაზისური სამხედრო უნარების განვითარება, მასში სამხედრო დისციპლინის ჩამოყალიბება და იმ გამოწვევებისთვის მომზადება, რომელიც იუნკერს/მსმენელს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სწავლისას შეხვდება.

12. მაგისტრატურაში და ბაკალავრიატში ჩარიცხვისა და სწავლის პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საბაკალავრო პროგრამების განხორციელების წესით და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების წესით;

13. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14. იუნკერის სტატუსი მოიპოვება აკადემიაში პირის ჩარიცხვით, კონტრაქტის/ხელშეკრულების ხელმოწერით, რაც ფორმდება ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით – რექტორის ბრძანებით;

15. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ჩარიცხულმა იუნკერმა კონტრაქტის/ხელშეკრულების გასაფორმებლად აკადემიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში:**

- განცხადება (ივსება აკადემიის მიმღებ კომისიაში);
- ავტობიოგრაფია (ხელნაწერი, ნაბეჭდი) - 2 ეგზ.
- ზოგადი განათლების მოწმობა (დედანი) ასლი - 2 ეგზ. (არსებობის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დიპლომის (დედანი) ასლი) - 2 ეგზ.
- დაბადების მოწმობის ასლი - 2 ეგზ.
- ქორწინების მოწმობის ასლი - 2 ეგზ.
- ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლები (მშობლები, მეუღლე, შვილები) - 2 ეგზ.
- შვილების დაბადების მოწმობის ასლი - 2 ეგზ;
- ცნობა პენსიის შესახებ - 2 ეგზ;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ - 2 ეგზ;
- დახასიათება ბოლო საქმიანობის ადგილიდან (სკოლიდან) - 2 ეგზ;
- ცნობა ნარკოლოგიური ცენტრიდან - 2 ეგზ;
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N IV-100/ა) - 2 ეგზ;
- პირადობის მოწმობა (დედანი), ასლი - 2 ეგზ;
- ფოტოსურათი 3X4-ზე - 6 ცალი;
- ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია დისკზე ჩაწერილი - 1 ც;
- ცნობა პროფილაქტიკური აცრების შესახებ („MMR" - წითელა, წითურა, ყბაყურა; „TD" - ტეტანუსი-დიფტერია);

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:**

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.
- უცხო ენის ცოდნის სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

16. აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე კომპლექტდება იუნკერის პირადი საქმე, რომელიც გარდა ზემოთ აღნიშნულისა უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესაბამის დოკუმენტს;

- აკადემიასა და იუნკერს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას;

- ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერს;

- იუნკერის სასწავლო ბარათს.

17. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

#### **მუხლი 4. იუნკერის კონტრაქტი/ხელშეკრულება**

1. იუნკერი ვალდებულია გააფორმოს კონტრაქტი/ხელშეკრულება.

2.-კონტრაქტი/ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება იუნკერთან, ხოლო მეორე - ბარდება აკადემიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში და ინახება იუნკერის პირად საქმეში.

3. კონტრაქტში/ხელშეკრულებაში იუნკერმა უნდა მიუთითოს:

- პირადი ნომერი;

- გვარი, სახელი;

- რეგისტრაციის მისამართი;-

- დაბადების თარიღი;

4. ბაკალავრიატის იუნკერის კონტრაქტით სამხედრო სამსახურის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ნაწილობრივ შეიზღუდოს იუნკერის, როგორც სამხედრო მოსამსახურის სამოქალაქო უფლებები. სამსახურის ვადა შეადგენს 6 კალენდარულ წელს და იუნკერად ყოფნის ვადის ჯამს. კონტრაქტის მოქმედება იწყება იუნკერად ჩარიცხვის დღიდან. იუნკერი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ვალდებულია გაიაროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და დააგროვოს შესაბამის საფეხურზე მოთხოვნით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;

5. მაგისტრატურის იუნკერი /ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (რომლის ფორმაც განსაზღვრავს აკადემიის რექტორი) ვალდებულია გაიაროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და დააგროვოს შესაბამის საფეხურზე მოთხოვნით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;

#### **მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევანის გამჭვირვალობა**

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, პროგრამების დიზაინი მოქნილადაა აგებული, 2 სემესტრი ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე იუნკერი სწავლობს ერთი და იმავე სასწავლო კურსებს, მესამე სემესტრიდან იუნკერს შეუძლია აირჩიოს აკადემიაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთი;

2. აკადემიაში არსებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები იუნკერს სთავაზობს არჩევით სასწავლო კურსებს;

3. აკადემიაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ატვირთულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (eta.edu.ge);

4. სასწავლო წლის დაწყებამდე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც პირველი კურსის იუნკერები დეტალურად ეცნობიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

### **მუხლი 6. სასწავლო პროცესის ორგანიზება**

1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო წლის გეგმა-კალენდარის მიხედვით.

2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია სწავლება და იუნკერთა მიღწევების შეფასება განახორციელოს სასწავლო კურსის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებისა და სასწავლო გეგმების, კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად;

3. საგანმანათლებლო პროგრამები და მათში შემავალი სასწავლო კურსები, სილაბუსები იხილება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების მიერ, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მეთაურის/ხელმძღვანელის წარდგინებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო სამსახურთან ერთად ვალდებულია აწარმოოს სწავლებისა და იუნკერთა მიღწევის შეფასების პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

5. აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული სამუშაო, ელექტრონული რესურსით სწავლება, საველე გასვლა და სხვა.) აწარმოოს იუნკერთა აღრიცხვიანობა და საპატიო მიზეზის გარეშე არ გაათავისუფლოს სასწავლო პროცესიდან.

### **მუხლი 7. სასწავლო პროცესის ფორმა**

1. სწავლება წარიმართება სწავლება-სწავლის მეთოდის გამოყენებით, როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული სამუშაო, ელექტრონული რესურსით სწავლება, საველე გასვლა და სხვა.

2. თითოეული სასწავლო კურსი, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სწავლება-სწავლის მეთოდს და შესაბამის აქტივობებს, რაც დაკონკრეტებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

3. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

### **მუხლი 8. იუნკერის მიღწევების შეფასება**

იუნკერის მიღწევების შეფასება ხორციელდება აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

### **მუხლი 9. იუნკერის სტატუსის შეჩერება**

1. იუნკერის სტატუსის შეჩერება ნიშნავს, იუნკერის კონტრაქტის/ხელშეკრულების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, იუნკერის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

2. ბაკალავრიატის იუნკერის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ავადმყოფობა; (სსიპ-გ.აბრამიშვილის სახელობის გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.)\_

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლამდე უცხო ენის კურსზე ჩარიცხვა/მივლინება; სწავლის დაუსრულებლობის და მივლინებიდან ადრე დაბრუნების შემთხვევაში იუნკერის სტატუსის შესახებ საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

გ) ორსულობა, მშობიარობაან ბავშვის მოვლა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობის შესრულებას არ უშლის ხელს;

3. მაგისტრატურის იუნკერის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობის შესრულებას არ უშლის ხელს;

5. შემთხვევისა, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობის შესრულებას არ უშლის ხელს;

6. იუნკერს სტატუსის შეჩერება შეუძლია სასწავლო პროცესის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ერთი წლის ვადით.

8. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის იუნკერის სტატუსზე შეჩერებული პირი არ განიხილება აკადემიის იუნკერების საერთო რაოდენობის ფარგლებში. აკადემია უზრუნველყოფს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის სტუდენტების რეესტრში იუნკერის სტატუსის შეჩერების რეგისტრაციას მათი საერთო რაოდენობის აღრიცხვა - დაზუსტების მიზნით; 9. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის იუნკერის სტატუსის აღდგენა აკადემიაში, დასაშვებია იუნკერთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში იუნკერების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის აკადემიის მიერ დადგენილ იუნკერთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

### **მუხლი 10. იუნკერის სტატუსის შეწყვეტა**

1. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება უკავშირდებოდეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან იუნკერის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას ან იუნკერთან გაფორმებული კონტრაქტით განსაზღვრული პირობების დარღვევას.

2. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში იუნკერის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და იუნკერი უფლებამოსი-



ლია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

### **მუხლი 11. მობილობა**

1. აკადემიაში იუნკერის მობილობა (სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **2. განსაკუთრებული პირობები**

ა) აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი), აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება მხოლოდ შემოდგომის მობილობა, ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციულ ვადებში.

ა) მობილობის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სპეციფიკა. აკადემიის მისიიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ოფიცრის, ლეიტენანტის სამხედრო წოდება. აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხურზე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ოფიცრის კომპეტენციების გამოსამუშავებლად აუცილებელი კომპონენტია თავისუფალ კომპონენტში შემაჯავლი „საერთო საჯარისო მართვის“ სასწავლო რომელიც ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება და რომლის ყველა სასწავლო კურსის შემადგენელია საველე გასვლები. მსგავსი ტიპის პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არ ხორციელდება, შესაბამისად, მობილობის შემთხვევაში ყველა კანდიდატს მოუწევს სწავლის დაწყება პირველი სემესტრიდან.

ბ) პირველ სემესტრში სწავლის დაწყების საფუძველია აკადემიის შიდა წესის (დანართი1) შესაბამისად შესარჩევი ტურის (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება) და საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლა. შესაბამისად, აკადემიაში მობილობით გადმოსვლის მსურველმა სტუდენტმა უნდა გაიაროს შესარჩევი ტური და საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი.

### **3. მობილობის უფლების შეზღუდვა**

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის სამედიცინო განათლებისა და ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამასა და

საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგში, რომელიც განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.

3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა აკრედიტაცია, ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

#### 4. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

1. აკადემია ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზე ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ “ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანების მოთხოვნებთან, ცენტრის რეესტრისა და ცენტრის ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის ასახული რეესტრში.

2. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ.

3. აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის სემესტრში.

4. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში—რეესტრი)ასახვა ხდება ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში.

5. აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.

6. მობილობით გადასულ იუნკერთა მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადაა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე.

1. მუხლი 12. შიდა მობილობა შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება იუნკერს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ორი

სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა იუნკერის სტატუსი

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები იმდაგვარად არის აგებული, რომ ერთი წელი (ორი სემესტრი) ყველა იუნკერი სწავლობს ერთსა და იმავე სასწავლო კურსებს. პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდგომ, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები ატარებენ საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს იუნკერებთან. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის მიზანზე, შედეგზე, დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ. ამის შემდგომ იუნკერები ბაკალავრიატში ავსებენ შესაბამის ფორმას, სადაც აფიქსირებენ ძირითადი სპეციალობის არჩევას, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას.
3. აკადემია ადგენს შიდა მობილობის მსურველი იუნკერის მიერ განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას, აკადემიაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ, რომლის შემდგომაც გამოიცემა რექტორის ბრძანება იუნკერის შიდა მობილობით გადაყვანის შესახებ;
4. შიდა მობილობის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.
5. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ აკადემია შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში მიაწოდებს ცენტრს.

### **მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება**

პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში უსდ ითვალისწინებს იუნკერთა კანონიერ ინტერესებს და იუნკერსაძლევეს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს იუნკერების წინასწარ ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ;

2. აკადემია უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, რენტაბელობის და გაუქმების საკითხი; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას განსაზღვრას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები, რომელიც არის უშუალო დამკვეთი და დამსაქმებელი.

3. აკადემიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მოდიფიცირების გზით განათლების ერთი და იმავე საფეხურისა და მომიჯნავე მიმართულების /სპეციალობის/ სპეციალიზაციის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული (მოდიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იძლეოდეს იუნკერების მიერ უკვე მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას;

4. აკადემიის შესაცვლელი/გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერს უფლება აქვს: სწავლა გააგრძელოს აკადემიაში განათლების იმავე საფეხურის ანალოგიურ ან მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის (მაგისტრატურის შემთხვევაში) სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (აკადემიაში ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამით.

5. აკადემია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შეცვლილი/გაუქმებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებს გაუწევს კონსულტაციას თუ რომელი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი შეცვლილი/გაუქმებული საბაკალავრო/-სამაგისტრო პროგრამით მიღებული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობით აღიარება;

6. აკადემიაში შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერების სწავლის გაგრძელების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს თითოეული იუნკერისათვის შესაბამისობების განსაზღვრას გაუქმებული/შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ სასწავლო კურსებსა და აკადემიის ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის. აკადემიამ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების მიზნით იუნკერისათვის (მათი თანხმობის შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს იმ კვალიფიკაციის მინიჭებას, რაც მიენიჭებოდა იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა იუნკერის ჩარიცხვა;

7. იუნკერის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს აკადემია ითვალისწინებს ამ წესის მეორე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8. იუნკერისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მეთაურის/ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების დროს იუნკერის მიღწევების შეფასება ხორციელდება აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

#### **მუხლი 14. გარიცხული/ამორიცხული იუნკერის აღდგენის წესით ჩარიცხვა**

სტატუსშეწყვეტილი იუნკერის აღდგენის წესით ჩარიცხვა აკადემიაში არ ხორციელდება.

#### **მუხლი 15. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა**

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა აკადემიაში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ და საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ);

#### **მუხლი 16. იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი.**

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი;

2. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება შესაბამისი გამოცდა;

3. ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე;

4. საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება;

5. გამოცდის ორგანიზებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატი და სასწავლო სამსახური;

6. იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებულნი არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი;

7. იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2, ხოლო ყალიბდება 4 დონის ჯგუფი: Starter, A1, A2, B1;

8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დონე უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2;2, რისთვისაც უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის შესაბამისი ტესტი ან წარმოადგინოს ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

### **მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა**

1. იუნკერის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ იუნკერს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. დიპლომი გაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

2. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანოა აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო;

3. საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულების შემდეგ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის იუნკერების პირად საქმეებს, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი სავალდებულო კრედიტების მიღების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

4. თუ იუნკერმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა, მას არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

5. თუ იუნკერს, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნის შესრულებით, მიღებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება დასრულებულად და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას "წარჩინებით"-/ "ჩვეულებრივი" დიპლომის გაცემის შესახებ;

6. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს სხდომის ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილება;

ა) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის კურსდამთავრებულთა სახელების და გვარების და მათთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და დიპლომის ხარისხის ("წარჩინებით"/"ჩვეულებრივი") მითითებით);

ბ) კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის იუნკერების სახელების და გვარების და კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლის მითითებით);

7. დიპლომის და დიპლომის დანართის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო სამსახური;

### **მუხლი 18. სწავლების საფასური**

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე იუნკერის სწავლების საფასური სრულიად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული იუნკერის - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სამოქალაქო პირების სწავლების საფასური სრულიად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა აკადემიაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული იუნკერის სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს.

### **მუხლი 19. დასკვნითი დებულებები**

ამ დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

## სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესი

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღებიან:

1. 24 წლამდე აბიტურიენტები, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის (ელექტრონულად აპლიკანტები რეგისტრირდებიან მხოლოდ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე [www.naec.ge](http://www.naec.ge)). რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები;
2. ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ზოგადი უნარები

უცხოური ენა

ქართული ენა

მათემატიკა/ისტორია

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე, აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია აკადემიაში. რეგისტრაციისას აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ საჭირო დოკუმენტები. რეგისტრაციის შემდგომ მოხდება აბიტურიენტთა გადანაწილება შესარჩევ ტურზე, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: **ფიზიკური მომზადების ტესტის ჩაბარება, სამედიცინო შემოწმება, ფსიქოლოგიური შერჩევა-გასაუბრება.**

### სამედიცინო შემოწმება

#### 1. <sup>3</sup> საბუთების ნუსხა:

1. განცხადება (შეავსებთ აკადემიის მიმღებ კომისიაში)
2. ავტობიოგრაფია (ხელნაწერი და ნაბეჭდი) – 2 ეგზ.
3. დაბადების მოწმობის ასლი – 2 ეგზ.
4. პირადობის მოწმობა (დედანი), ასლი – 2 ეგზ.
5. ზოგადი განათლების მოწმობა (დედანი), ასლი – 2 ეგზ. ან ცნობა სწავლის შესახებ - დახასიათება. (არსებობის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დიპლომის (დედანი), ასლი – 2 ეგზ.)
6. ქორწინების (განქორწინების) მოწმობის ასლი – 2 ეგზ. (არსებობის შემთხვევაში)
7. შვილების დაბადების მოწმობის ასლები – 2 ეგზ. (არსებობის შემთხვევაში)
8. ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლები (მშობლები, მეუღლე, შვილები, და-ძმა) – 2 ეგზ.
9. მართვის მოწმობის ასლი – 2 ეგზ.
10. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა)
11. ცნობა პროფილაქტიკური აცრების შესახებ ("MMR" – წითელა, წითურა, ყბაყურა; "TD" – ტეტანოსი-დიფტერია) – 2 ეგზ.
12. ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ – 2 ეგზ.
13. ცნობა ნასამართლეობის შესახებ – 2 ეგზ.
14. ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან (სახელმწიფო გასაცემლების შესახებ) – 2 ეგზ.
15. შრომის წიგნაკის ასლი – 2 ეგზ.
16. მიღებული სერტიფიკატების ასლი
17. სამხედრო ბილეთის ასლი ან წვევამდელის სამხედრო-საადრიცხო მოწმობის ასლი – 2 ეგზ.
18. 6 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე და ელექტრონული ვერსია (CD);
19. მუყაოს საქალაქე - 2 ცალი.

სამედიცინო კომისიაზე გასასვლელად, აბიტურიენტთა დაბარება ხდება აკადემიის გამშვებ პუნქტთან ჯგუფებად, დღეში არაუმეტეს 50 კაცისა. ჯგუფის გადაადგილება ჰოსპიტლამდე ხდება აკადემიის სატრანსპორტო საშუალებებით. გადაადგილებას ხელმძღვანელობს ლაზარეთის სამედიცინო პერსონალი. აბიტურიენტების ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ, ხდება მათი დაყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ჰოსპიტალში გამოეყოფა სამედიცინო პერსონალი, რომლის ხელმძღვანელობითაც ხდება აბიტურიენტთა შემოვლა ექიმ-სპეციალისტებთან. ყველა სპეციალისტის დასკვნის შემდგომ, რომელიც კეთდება თავდაცვის მინისტრის #360 ბრძანების საფუძველზე, სამხედრო საექიმო კომისიის თავჯდომარე გასცემს სამედიცინო ბარათს ფორმა #9, რომელშიც დაფიქსირებულია აბიტურიენტთა ჯანმრთელობის სტატუსი.

აკადემიაში ჩაბარების უფლება აქვთ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც უფიქსირდებათ "ვარგისია" თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მისაღებად. ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დასკვნების გამოგზავნა ხდება ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში კონფიდენციალურად ელექტრონულად. **ფიზიკური შესაბამისობის ტესტირების ჩაბარება**

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩასარიცხად აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ფიზიკური შესაბამისობის ტესტი. - ფიზიკური შესაბამისობის ტესტი მოიცავს სამ სასწავლო ღონისძიებას, რომლებიც ტარდება სისწრაფის, კუნთის ძალის, ამტანიანობისა და კარდიორესპირატორული სისტემების მოქმედების შესაფასებლად. - ფიზიკური შესაბამისობის ტესტირების შედეგებით ვლინდება აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების საერთო დონე. მნიშვნელოვანია აბიტურიენტთა ფიზიკური შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა აკადემიაში ჩარიცხვის შემთხვევაში იუნკერებმა დასძლიონ პროგრამით გათვალისწინებული დატვირთვები და დააკმაყოფილონ ფიზიკური მომზადების მინიმალური დონე. აკადემიაში ფიზიკური შესაბამისობის ტესტის ჩაბარება ხორციელდება „საქართველოს თავდაცვის ძალების დარიგება ფიზიკურ მომზადებაში" შესაბამისად.

ფიზიკური მომზადების ტესტირება არის კომპლექსური, რომელიც შედგება 3 (სამი) ვარჯიშისაგან:

1. იატაკიდან აზიდვა;
  2. მუცლის პრესი;
  3. 3200 მეტრზე სირბილი.
- ვარჯიშით- " იატაკიდან აზიდვა" - მოწმდება გულ-მკერდის, მხრებისა და ტრიცეპსის კუნთების გამძლეობა
  - ვარჯიშით - " მუცლის პრესი" - მოწმდება მუცლისა და ბარძაყის კუნთების გამძლეობა.
  - ვარჯიშით- 3200 მეტრზე სირბილი მოწმდება კარდიორესპირატორული სისტემების მომზადების დონე და ფეხის კუნთების გამძლეობა.

ტესტის თითოეულ სახეობაში პიროვნებამ უნდა დააგროვოს მინიმუმ 40 ქულა, ხოლო სამივე სახეობაში მინიმუმ 120 ქულა.

დაუშვებელია ვარჯიშის თანმიმდევრობის შეცვლა. აბიტურიენტებს ვარჯიშებს შორის ძალების აღსადგენად ეძლევათ მინიმუმ 10 წუთი.

აბიტურიენტს ფიზიკური შესაბამისობის ტესტი ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან დააგროვა მინიმუმ 40 ქულა.

### **ფსიქოლოგიური შერჩევა-გასაუბრება.**

ფსიქოლოგიური შერჩევა მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. ტესტირება - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის წარმომადგენლები ატარებენ ტესტირებას, რომელიც კანდიდატს აფასებს 5 კატეგორიის მიხედვით:

- მიღწევის მოტივაცია
- დისციპლინა
- პრეზენტაბელურობა
- ფსიქოლოგიური სტაბილურობა
- ლიდერობა
- ინტელექტი



2. კლინიკური გასაუბრება - რა დროსაც ხდება კანდიდატის დიაგნოსტიკა ფსიქიკურ აშლილობებთან დაკავშირებით.

3. ფსიქოლოგიური გასაუბრება - რომელსაც ატარებს აკადემიის შერჩევის კომისიის ქვეკომისია. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, როგორცაა: ბაკალავრიატი და სასწავლო ბატალიონი, ფსიქოლოგიური მომსახურების განყოფილება და ა.შ.

- ფსიქოლოგიური გასაუბრება ტარდება წინასწარ შედგენილი ჭკითხვარის მეშვეობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შეკითხვების დასმა ხდება.
- კანდიდატი ჩაითვლება რელევანტურად, თუ კი იგი საერთო ჯამში დააგროვებს ქულათა მინიმუმ 50%-ს;
- კანდიდატი დაძლევს ფსიქოლოგიურ გასაუბრების ეტაპს, თუ კი კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი კანდიდატს ჩათვლის რელევანტურად (დაზუსტებას საჭიროებს შემთხვევა, როდესაც ხმები თანაბარია)
- გასაუბრების კომისიის ყოველი სხდომის ბოლოს კეთდება ოქმი, სადაც ჯამდება მიღებული შედეგები.

გასაუბრების კომისია თითოეულ კანდიდატზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეჯერებით.

---

<sup>4</sup> წყარო: „საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო“, თბ, 2013.